

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი

ადამიანის უფლებათა შესახებ საქართველოს 2020 წლის ანგარიში

(გამოხატვისა და პრესის თავისუფლება)

სექცია 2. სამოქალაქო თავისუფლებების პატივისცემა, მათ შორის:

a. გამოხატვისა და პრესის თავისუფლება

საქართველოს კონსტიტუცია და კანონმდებლობა იცავს გამოხატვის თავისუფლებას, რაც პრესის თავისუფლებასაც მოიაზრებს, ხოლო მოქალაქეებს ზოგადად შეუძლიათ ამ უფლების რეალიზაცია. თუმცა ამის მიუხედავად, არსებობდა შენიშვნები მთავრობის მიმართ, რომ ის პერიოდულად არ იცავდა ადეკვატურად აღნიშნულ უფლებებს. 2020 წლის განმავლობაში ჟურნალისტებმა, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებმა შეშფოთება გამოხატეს ქვეყანაში არსებული მედია პლურალიზმის საკითხებთან დაკავშირებით. ამასთან, სახალხო დამცველის მიერ 2020 წლის აპრილში წარდგენილ ანგარიშში 2019 წლის მდგომარეობის შესახებ საუბარია, რომ საქართველოში არ არსებობს ჟურნალისტების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების სათანადო სტატისტიკა.

სიტყვის თავისუფლება: არასამთავრობო ორგანიზაციებმა იუსტიციის მინისტრი დაადანაშაულეს სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობაში, რაც გამოიხატა ნოტარიუს ბაჩანა შენგელიასთვის უფლებამოსილების შეჩერებაში 19 ივნისს Facebook-ზე გამოქვეყნებული კომენტარების გამო, რომელიც დედამისის - სკოლის დირექტორის ია კერზაიას 2018 წლის გარდაცვალების სადავო საქმეს უკავშირდებოდა (იხ. 2019 წლის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ, სექცია 3). საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ უფლებამოსილების შეჩერება გამოხატვის თავისუფლების შემზღუდველად მიიჩნია და 6 ივლისს შენგელიას სახელით საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართა.

პრესისა და მედიის თავისუფლება, ონლაინ მედია: დამოუკიდებელი მედია ძალიან აქტიური იყო და მრავალფეროვან შეხედულებებს გამოხატავდა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა განაგრძეს შეშფოთების გამოხატვა საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელების, კომუნიკაციების ეროვნულ კომისიასა და მმართველ პარტიას შორის არსებული ახლო ურთიერთობის გამო, ასევე საზოგადოებრივი მაუწყებლის მმართველი პარტიის სასარგებლოდ სარედაქციო მიკერძოების, მედია პლურალიზმის შემცირებისა და სავარაუდო პოლიტიკური ანგარიშსწორების მოტივით მედიაკომპანიების მფლობელების წინააღმდეგ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გამო.

ივნისში პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის 9-წევრიანი სამეურვეო საბჭოს წევრად ბონდო მძინარიშვილი დანიშნა. მძინარიშვილის დანიშვნამ მედიის შეშფოთება გამოიწვია, ვინაიდან ის გამოირჩეოდა ჰომოფობიური გამოსვლებით TV ობიექტივში მუშაობის დროს.

ზოგიერთი მედია საშუალება, დამკვირვებელთა ჯგუფი და არასამთავრობო ორგანიზაცია აგრძელებდა შეშფოთების გამოხატვას მედია პლურალიზმის შემცირებისა და მედიაზე

პოლიტიკური გავლენის გაგრძელებასთან დაკავშირებით. ამასთან, შემფოთებას გამოხატავდნენ მედიის საქმიანობაში მთავრობის ჩარევის გამო. კვლავ გრძელდებოდა მუდმივი ბრალდებები საზოგადოებრივ მაუწყებლებზე პოლიტიკურ ზეწოლასთან დაკავშირებით. 2020 წლის განმავლობაში სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებმა განაცხადეს, რომ მმართველმა პარტიამ განაგრძო მცდელობა აჭარის საზოგადოებრივ მაუწყებელზე ზეგავლენის მოსახდენად, რასაც, 2019 წლის აპრილს, მოჰყვა აჭარის ტელევიზიის დირექტორის, ნათია კაპანაძის საექვო გათავისუფლება. კაპანაძემ აღნიშნული გადაწყვეტილება სასამართლოში გაასაჩივრა, თუმცა დავა წააგო. რამდენიმე მცდელობის შემდეგ, 2019 წლის ნოემბერში, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის მრჩეველთა საბჭომ აირჩია ახალი დირექტორი, გიორგი კოხრეიძე, რომელმაც გაათავისუფლა და შეავიწროვა ათეულობით ის დასაქმებული, რომლებიც ღიად აკრიტიკებდნენ მაუწყებლის მენეჯმენტს.

2 თებერვალს, ნათია ზოიძემ, აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორის მოადგილემ, თანამდებობა დატოვა, რის მიზეზადაც „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ „პოლიტიკურ ზეწოლას“ მიიჩნევს. თანამშრომლების დაახლოებით ერთმა მესამედმა (100) დააარსა ალტერნატიული პროფკავშირი მათი უფლებების დასაცავად. სოლიდარობის აქცია გაიმართა რამდენიმე ქალაქში, მათ შორის, ბათუმში, ქუთაისსა და თბილისში აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომელთა და სარედაქციო პოლიტიკის მხარდასაჭერად. მარტში სახალხო დამცველმა შემფოთება გამოხატა განვითარებული მოვლენებისა და სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაზე მის შესაძლო უარყოფითი გავლენის გამო; ანალოგიურად მოიქცნენ „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“; ჰარლემ დესირი, ეუთოს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში და 33 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია. აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ყოფილმა თანამშრომლებმა და პროფკავშირებმა შეიტანეს რამდენიმე სარჩელი და მიმართეს პროკურატურას შევიწროების, ჟურნალისტის საქმიანობაში ხელის შეშლისა და ხელშეკრულების უკანონოდ შეწყვეტის ბრალდებით გიორგი კოხრეიძის წინააღმდეგ.

შემფოთების გამოხატვა გაგრძელდა მედია პლურალიზმის კიდევ უფრო შემცირებისა და მმართველი პარტიის სასარგებლოდ მედია საშუალებების კონცენტრაციის ზრდის გამო, რაც „რუსთავი 2-ის“ ყოფილი მფლობელის, ქიბარ ხალვაშის, სასარგებლოდ გამოტანილ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის ივლისის გადაწყვეტილებას მოჰყვა. კომპანიის წინა მფლობელი დაკავშირებული იყო ოპოზიციურ პარტიასთან - ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან (ენმ), ხოლო ხალვაში - მმართველ პარტიასთან. წლის განმავლობაში რამდენიმე ჟურნალისტი, რომლებიც მენეჯმენტის ცვლილების გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან, სასამართლოში ცდილობდა შრომითი უფლებების დაცვას. მედიამ შემფოთება გამოხატა და საერთაშორისო დამკვირვებლებს მიმართა განვითარებულ მოვლენებზე მონიტორინგის ჩასატარებლად. დეკემბრის თვიდან „რუსთავის 2-ის“ პოლიტიკური კრიტიკა მთავრობის მიმართ შემსუბუქდა, განსაკუთრებით არჩევნების პერიოდში. „რუსთავი 2-ის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია და მრავალი ჟურნალისტი, ვინც ადრე მუშაობდა „რუსთავი 2-ში“, გადავიდნენ „მთავარ არხზე“, რომელიც დაარსდა 2019 წლის სექტემბერში, დაკავშირებული იყო ოპოზიციურ პარტიასთან, ენმ-სთან და იყო მმართველი პარტიის ერთ-ერთი მწვავე კრიტიკოსი. დანარჩენი ჟურნალისტები,

რომლებიც „რუსთავი 2-ში“ მუშაობდნენ, გადავიდნენ „ფორმულა ტვ-ში“, რომელიც 2019 წლის აგვისტოს დაარსდა, და „ტვ პირველში“.

სახალხო დამცველის აპარატმა, მედიის ზოგიერთმა დამკვირვებელმა ჯგუფმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა გამოთქვეს ეჭვი იმის შესახებ, რომ კრიტიკული მედიის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა პოლიტიკურად იყო მოტივირებული. მაგალითად 9 ივლისს სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ რამდენიმე სისხლის სამართლის საქმემ დამოუკიდებელი ტელევიზიის მფლობელის წინააღმდეგ, გააჩინა ეჭვები ქვეყანაში დამოუკიდებელი და კრიტიკული მედიის დევნის მცდელობის შესახებ. 4 აგვისტოს, 9 არასამთავრობო ორგანიზაციამ ეჭვქვეშ დააყენა 30 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი გიორგი რურუას, „მთავარი არხის“ აქციონერის მიმართ. სასამართლომ მას სასჯელის სახედ 4 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუნიშნა იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენისათვის, შენახვისა და ტარებისათვის. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე განაცხადეს, რომ არსებობს საფუძველი აღნიშნული გადაწყვეტილების პოლიტიკურად მოტივირებულად მიჩნევისათვის. უფლებადამცველთა რამდენიმე ჯგუფმა და ოპოზიციურმა პარტიამ რურუას წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზეზად 2019 წლის საპროტესტო მიტინგებზე მისი აქტივიზმი (იხ. ნაწილი 2.ხ. შეკრების თავისუფლება) და ოპოზიციური ტელეკომპანიის წილის შეძენა მიიჩნიეს.

პირველ დეკემბერს, „მთავარი არხის“ გენერალურ დირექტორს, ნიკა გვარამიას შეატყობინეს, რომ მის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი 7 დეკემბერს განახლდებოდა. ოპოზიციის შეფასებით, ეს იყო მმართველი პარტიის ანგარიშსწორება „მთავარი არხის“ მიმართ, ვინაიდან ის ინფორმაციას ენმ-ის სასარგებლოდ აშუქებდა. საქმე ეხებოდა ბრალდებებს ნიკა გვარამიას წინააღმდეგ, რომლის თანახმადაც მან სარეკლამო რგოლების განთავსების სანაცვლოდ „პორშე ცენტრის“ ორი ავტომობილი მიიღო. 2019 წლის ზაფხულს გვარამიას ბრალად დაედო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ქონების მითვისება და კომერციული მოსყიდვა. სახალხო დამცველმა აღნიშნა, რომ კომპანიის დირექტორზე პასუხისმგებლობის დაკისრება კომპანიის გადაწყვეტილებების გამო მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში უნდა იყოს დასაშვები, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კიდე უფრო იშვიათ შემთხვევებში. გვარამიამ და მედია ადვოკატების ჯგუფებმა განმარტეს, რომ ბრალდებები პოლიტიკურად იყო მოტივირებული. მანამდე, გვარამიამ განაცხადა, რომ მას ფიზიკურად გაუსწორდნენ, ხოლო მის ოჯახს უთვალთვალებდნენ. აღნიშნული საქმის სასამართლო განხილვის თარიღი წლის ბოლომდე გადადებული იყო.

იანვრის დასაწყისში „იმედის“ ჰოლდინგის წევრის, „მაესტროს“ ბიზნეს პროგრამის ჟურნალისტებმა განაცხადეს „იმედი ტვ-ს“ დირექტორის მიერ ცენზურის დაწესებისა და პოლიტიკური ჩარევის შესახებ, რომელიც მანამ ხდებოდა, სანამ სატელევიზიო პროგრამა საბოლოოდ მარტში დაიხურებოდა. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ მოცემული საქმე ქარტიის პრინციპის დარღვევად მიიჩნია, რაც ჟურნალისტის საქმიანობაში ჩაურევლობას გულისხმობს.

მედიის უფლების დამცველებმა განაცხადეს, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია შეეცადა სამაუწყებლო მედიის თავისუფლების შეზღუდვას „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებების ინიცირებით, რომელიც საბოლოოდ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა. 17 ივლისს შეტანილი ცვლილებები კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას აძლევს შესაძლებლობას დანიშნოს სპეციალური მმართველი ავტორიზებულ დაწესებულებებში - რომელთა რიცხვშიც ის სამაუწყებლო კომპანიებიც შედიან, რომლებიც მულტიპლექს კომპანიები არიან, რათა აღასრულონ კომისიის გადაწყვეტილებები. ადგილობრივმა სატელეკომუნიკაციო კომპანიებმა გააკრიტიკეს მიღებული ცვლილებები, ისევე როგორც „რეპორტიორებმა საზღვრებს გარეშე“, რომელმაც ცვლილებები დაახასიათა როგორც მთავრობის მცდელობა რადიო სადგურებისა და სატელევიზიო არხების გასაკონტროლებლად.

ივლისის ცვლილებებს წინ უძღოდა კომუნიკაციების კომისიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის მცდელობა ონლაინ პლატფორმის, Media Critic-ის გამოყენებით, რომელიც 2019 წლის დეკემბერში შეიქმნა. პლატფორმა შექმნილი იყო იმისათვის, რომ შეეფასებინა და ემართა მედიის შინაარსი, რასაც მოჰყვა მედიის დამკვირვებელთა შემფოთება ეროვნული კომისიის უფლებამოსილებების გადაჭარბების შესახებ. Mediachecker-ის, თვითრეგულირებადი მედიის მონიტორინგის პლატფორმის თანახმად, Media Critic-ის მთავარი საქმიანობა დამოუკიდებელი მედიის კრიტიკა იყო.

პირველ ნოემბერს, ეუთოს/ODIHR-ის არჩევნების სადამკვირვებლო მისიამ განაცხადა, რომ საპარლამენტო წინა-საარჩევნო კამპანიის დროს მრავალფეროვანი და პლურალისტული მედია პოლარიზებული იყო, და მხოლოდ მცირე ანალიტიკური რეპორტაჟებისაგან და დისკუსიებისაგან შედგებოდა, რაც აფერხებდა ამომრჩევლის შესაძლებლობას მიეღო სრულად ინფორმირებული გადაწყვეტილება. 9 ნოემბერს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ ჩატარებული საარჩევნო მონიტორინგის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უდიდესი ნაწილი დაუთმო მმართველ პარტიაზე ინფორმაციის გავრცელებას, ხოლო მთავრობა პოზიტიური გაშუქების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით სარგებლობდა.

კანონმდებლობის თანახმად, მედია საშუალებები ვალდებულნი არიან გაამჟღავნონ ინფორმაცია მათი მფლობელების შესახებ.

ძალადობა და შევიწროება: ოქტომბერში, საარჩევნო პერიოდის განმავლობაში დაფიქსირდა ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები, სავარაუდოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მხრიდან. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ, ნოემბერში გაკეთებულ ერთ-ერთ განცხადებაში აღნიშნა, რომ არჩევნების დღეს ადგილი ჰქონდა მედიის მიმართ ვერბალურ და ფიზიკურ თავდასხმას უცნობი პირების მხრიდან. ასევე, ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე Publica.ge-ს ჟურნალისტს თავს დაესხნენ და კამერა გაუტეხეს, რის შესახებაც გამოძიება დაიწყო. ასევე, „ტვ პირველის“ ჟურნალისტს სახეში დაარტყეს, ხოლო On.ge-ს რეპორტიორის კამერა დააზიანეს.

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიამ ასევე ყურადღება გაამახვილა ცენტრალურ საარჩევნო კომისიასთან გამართულ აქციაზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძალის არაპროპორციული გამოყენების ფაქტებზე. მედია ანგარიშების თანახმად, პოლიციამ დაახლოებით ოთხი ჟურნალისტი დააზიანა და გაანადგურა მათი მოწყობილობა. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის განცხადებით, პოლიციამ განზრახ დაუმიზნა მედიის წარმომადგენლებს წყლის ჭავლი.

მთელი წლის განმავლობაში გენერალური პროკურატურა გამუდმებით ამტკიცებდა, რომ ის აგრძელებდა გამოძიებას 2019 წლის ივნისის საპროტესტო აქციაზე ჟურნალისტებზე სამართალდამცავების მიერ განხორციელებული თავდასხმების შესახებ, სადაც რამდენიმე ჟურნალისტი დაზარალდა. ზოგიერთი ჟურნალისტი და არასამთავრობო ორგანიზაცია ამტკიცებს, რომ ეს თავდასხმები ჟურნალისტების მიმართ იყო განზრახი. მაგალითად, საიამ აღნიშნა, რომ „რეზინის ტყვიები განზრახ ესროლეს“ მედიის წარმომადგენლებს, მიუხედავად მათი საიდენტიფიკაციო ნიშნებისა. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის თანახმად, 240 ჟურნალისტიდან, 39 დაშავებული იყო, ხოლო საია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ამტკიცებენ, რომ ისინი დაზარალებულებად უნდა იქნან ცნობილნი. გენერალურმა პროკურატურამ მოწმეებად რამდენიმე ჟურნალისტი დაკითხა. წლის ბოლოსთვის გამოძიება გრძელდებოდა.

12 ივნისს, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დააკავა რუსეთის მოქალაქე, რომელიც ეჭვმიტანილი იყო „მთავარი არხის“ ჟურნალისტის, გიორგი გაბუნიას მკვლელობის მცდელობაში, რომელმაც 2019 წლის ივლისში, პირდაპირ ეთერში შეურაცხყოფა მიაყენა პრეზიდენტ პუტინს. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა და ადგილობრივმა მედიამ განაცხადეს, რომ მკვლელობა ჩეჩნეთის ხელმძღვანელის, რამზან კადიროვის დაკვეთილი იყო, რომელმაც აღნიშნული უარყო. კოალიცია „მედიის ადვოკატირებისათვის“ და „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ მოუწოდებდნენ სახელმწიფოს რომ დროულად გამოეძია დანაშაული. 27 ნოემბერს გაბუნიას დაზარალებულის სტატუსი მიენიჭა. ხოლო, წლის ბოლოსთვის გამოძიება გრძელდებოდა.

არაერთი განცხადება გაკეთდა მედიის მიმართ შევიწროების შესახებ. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაწყებული გამოძიება მთავარი არხის წინააღმდეგ შევიწროებად მიიჩნიეს. 20 ივნისს მედია დამკვირვებლებმა აღნიშნეს, რომ გამოძიება მაუწყებლის სარედაქციო დამოუკიდებლობაში უხეშ ჩარევას წარმოადგენს, რაც თვითცენზურის რისკს ქმნის. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ და კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისათვის“ სახელმწიფოს ურჩიეს გამოეყენებინა საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია ან თვითრეგულირების მექანიზმები და არ დაეწყო სისხლისსამართლებრივი გამოძიება. გამოძიება დაიწყო მთავრობის დისკრედიტაციის ბრალდებით, ხელისუფლების მიმართ საზოგადოებაში უნდობლობის გაღვივებით, რაც სისხლის სამართლის კოდექსით დასჯად ქმედებას წარმოადგენს.

24 ივნისს, მმართველი პარტიის გენერალურმა მდივანმა, მერმა კახა კალაძემ Facebook-ზე გამოაქვეყნა სურათი, რომლითაც სამ ოპოზიციურ მედიასაშუალებას („მთავარი არხი“,

„ფორმულა ტვ“ და „ტვ პირველი“) სიცრუეში ადანაშაულებს. სურათზე მოხსენიებული იყო: „მთავარი სიცრუე“, „სიცრუის ფორმულა“ და „პირველი სიცრუე“. აღნიშნულ პოსტში თბილისის მერმა საზოგადოებას გააცნო ახალი ინიციატივის - “სიმართლის მუშტის” შესახებ, რომელიც Facebook-ის ლაივ სერიების მეშვეობით მედიის დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლას ისახავდა მიზნად. 25 ივნისს კოალიციამ „მედიის ადვოკატირებისათვის“ 11-წევრ უფლებადამცველთა ჯგუფთან ერთად მერის პოსტი დაახასიათა, როგორც „პოლიტიკური ძალაუფლების გამოყენების მცდელობა მედიაზე თავდასხმის გასაძლიერებლად“. მერიამ ორი ეთერის შემდეგ, გააუქმა აღნიშნული პლატფორმა, რაც ზაფხულის სეზონსა და მედიის ესპერტების კრიტიკას დაუკავშირა.

21 ოქტომბერს საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, ავთანდილ წერეთელმა, „ტვ პირველის“ მფლობელის მამამ განაცხადა, რომ მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა უცნობი პირების მხირდან, თუ ის არ შეცვლიდა არხის სარედაქციო პოლიტიკას.

რამდენიმე დამკვირვებელმა ჯგუფმა, მაგალითად „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“, შეშფოთება გამოხატა სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჟურნალისტებისათვის წყაროს დადგენის მიზნით დაკითხვაზე დაბარების გამო. კანონმდებლობა იცავს ჟურნალისტის უფლებას შეინარჩუნოს წყაროს ანონიმურობა და არ დაიკითხოს მოწმის სტატუსით.

არასამთავრობო გავლენა: მედიის დამკვირვებლებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და ოპოზიციამ განაცხადეს, რომ ქართული ოცნების თავმჯდომარეს და ყოფილ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს კვლავ ჰქონდა გავლენა საქართველოს მთავრობასა და სასამართლოზე. მათ შორის, გავლენა იქონია „ტვ პირველის“ მფლობელისა და „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის წინააღმდეგ გატარებულ ღონისძიებებზე.

5 მაისს, Facebook-მა წაშალა გვერდები, ჯგუფები და ანგარიშები, რომელიც დაკავშირებული იყო „ქართული ოცნების“ საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის მფლობელობაში არსებულ მედია ორგანიზაციასთან - Espersona-სთან. ჯგუფები/ანგარიშები/გვერდები წაიშალა იმ მიზეზით, რომ ისინი ყალბ გვერდებს წარმოადგენდნენ. ამავდროულად, Facebook-მა წაშალა ენმ-სთან დაკავშირებული ანგარიშები. ორივე მხარემ უარყო აღნიშნულ გვერდებთან რაიმე კავშირის არსებობა.

მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ ოსეთთან შედარებით, აფხაზეთში მედია შედარებით მრავალფეროვანი იყო, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ორივე რეგიონში მედიის თავისუფლება კვლავ შეზღუდული დარჩა რუსეთისა და de facto ხელისუფლების მიერ.